პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 1951 წ. № 279 (9133). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში — „პრავდის" 27-XI მოწინავე (1-ლი გვერდი).
გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენცია (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აპარატის მუშაობაზე (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი (მე-2 გვერდი).
პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად — საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა (მე-2 და მე-3 გვერდი).
სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა რეგისტრაცია (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიისადმი (მე-4 გვერდი).
ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის თავმჯდომარისადმი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში

დღეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში იხსნება მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენცია. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ოლქიდან, მხარიდან და რესპუბლიკიდან კონფერენციაზე ჩამოვიდნენ საბჭოთა ხალხების წარმომადგენლები. დელეგატთა შორის არიან მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, სოციალისტური შრომის სახელგანთქმული ოსტატები, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა ქალებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში. კონფერენციას წინ უძღოდა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების მასობრივი საყოველთაო-სახალხო კამპანია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების დღეებში მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ურყევი ერთგულება მშვიდობის საქმისადმი, თავიანთი მონოლითური დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო. მთელ ჩვენს ქვეყანაში გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგებსა და კრებებზე საბჭოთა ადამიანები მგზნებარედ მიესალმებოდნენ და იწონებდნენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო სტალინურ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და უშიშროების, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, იცავს მშვიდობის საქმეს. საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა წარმოშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ—ახალი, კომუნისტური საზოგადოების შექმნის, გეგმაშეწონილი მშენებლობის რევოლუციამ. ჩვენი სამშობლოს სამშვიდობო პოლიტიკა ემყარება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძირეულ, პრინციპულ საფუძვლებს და საბჭოთა ხალხის ინტერესებს. ჩვენში არ არიან ომის გაჩაღებით დაინტერესებული კლასები და ჯგუფები. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ ჰქონია და არც აქვს არავითარი აგრესიული გეგმა, არ დამუქრებია და არ ემუქრება არავითარ ქვეყანასა და არავითარ ხალხს. მტრების მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული ომები მხოლოდ ხელს გვიშლიდნენ ჩვენი ახალი ცხოვრების მშენებლობის დიდ საქმეში.

„ჩვენი მთავრობის პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის საფუძველს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,— მშვიდობის იდეა შეადგენს. ჩვენი ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა, ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლა, ყველა იმ ნაბიჯის გამოაშკარავება, რომლებსაც დგამენ ახალი ომის მოსამზადებლად... ესაა ჩვენი ამოცანა".

საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით უდიდესი აღფრთოვანებით ეწევა მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას. მთელი მისი ძალები მიმართულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მიღწევისაკენ, კულტურის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისაკენ. საბჭოთა ადამიანები უდიდესი ენთუზიაზმით აგებენ გრანდიოზულ ჰიდროელექტროსადგურებსა და სარწყავ სისტემებს, რომლებსაც ჩვენმა ხალხმა კომუნიზმის სტალინური მშენებლობანი, მშვიდობის მშენებლობანი უწოდა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციაზე დელეგატებს რომ ირჩევდნენ, მშრომელებმა მათ მისცეს განაწესი — კონფერენციის ტრიბუნიდან განაცხადონ, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად ესწრაფვის მშვიდობას. მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ახალ-ახალი წარმატებებისათვის ბრძოლას.

სსრ კავშირის სამშვიდობო სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ, მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის თანმიმდევრულმა და მტკიცე ბრძოლამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნისათვის ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით ადამიანის სიმპათია და მხარდაჭერა. მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომ ზრდას, ომის ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტი გამჩაღებლების აგრესიული გეგმების მხილებას.

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ომი არ გვესაჭიროება, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა ხალხს, რომელმაც ლენინ-სტალინის დროშით შექმნა ჩვენში ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება, აგრესიული ომი მიაჩნია უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ, უდიდეს უბედურებად მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის. მაგრამ თუ იმპერიალისტი მტაცებლები ჩვენი ხალხის მშვიდობისმოყვარეობას მის სისუსტედ მიიჩნევენ, მათ მოელით კიდევ უფრო სამარცხვინო მარცხი, ვიდრე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურების საქმეში მათს წინამორბედებს მოუვიდათ.

ყველა ქვეყნის ხალხები ხედავენ, თუ რა მტკიცედ და ურყევად იბრძვის საბჭოთა სახელმწიფო მშვიდობის დიადი საქმისათვის. არ ყოფილა არც ერთი საერთაშორისო კონფერენცია ან თათბირი საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, რომელზეც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს არ წამოეყენებინოთ კონსტრუქციული წინადადებანი საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პარიზის ახლანდელ მეექვსე სესიაზე საბჭოთა დელეგაციამ სსრ კავშირის მთავრობის დავალებით კვლავ წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობის და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. საბჭოთა წარმომადგენლები ამხილებენ ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა აგრესიულ გეგმებს, უანგაროდ იცავენ ხალხთა უფლებებსა და სუვერენიტეტს.

ამ უკანასკნელ დროს იმპერიალიზმის ბანაკში გაძლიერდა ახალი მსოფლიო ომისათვის მზადება. გაშმაგებულ შეიარაღებას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951-52 საბიუჯეტო წლის სამხედრო ხარჯები შეადგენს 81,8 მილიარდ დოლარს, რაც 76-ჯერ აღემატება ამ საჭიროების 1939 წლის ხარჯებს. მილიონერები და მილიარდერები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბატონობენ, მდიდრდებიან გაშმაგებული შეიარაღებით, აძლიერებენ შრომის მშრომელთა საარსებო ინტერესებზე.

ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები აწყდება მშვიდობისმოყვარე ხალხების სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას. მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი, მჭიდროდ დარაზმული კეთილშობილური მიზნის ერთიანობით, დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. მშვიდობის ბანაკი ბევრად უფრო ძლიერია ომის ბანაკზე.

საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს, წარმოადგენს მთელი პროგრესული ძალების მიზიდულობის ცენტრს, რომლებიც იბრძვიან ახალი ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხთა უფლებებისათვის—თვითონ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება. საბჭოთა ქვეყანასთან ერთად მშვიდობისათვის იბრძვიან დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები. კაპიტალისტურ ქვეყნებში, იმპერიალისტების ზურგში მილიონობით და მილიონობით უბრალო ადამიანი თავდადებით იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მშვიდობის ყველა მომხრე უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს „პრავდის" კორესპონდენტისადმი ატომური იარაღის თაობაზე, რაც საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის ახალი მკაფიო დადასტურებაა.

მშვიდობისათვის მოძრაობა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოძრაობაა. მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლებს აღაფრთოვანებს დიდი სტალინის სიტყვები: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას".

მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენცია, რომელიც დღეს იხსნება, ყველა ქვეყნის მშვიდობისათვის მებრძოლთა ყურადღებას იპყრობს. მილიონობით უბრალო ადამიანი უდიდესი ყურადღებით მოუსმენს მოსკოვს—მშვიდობის დიად ქალაქს, მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლის მედროშეს, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მედროშეს.

ეწევა რა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, საბჭოთა ხალხი განუწყვეტლივ განამტკიცებს დიდი სოციალისტური სამშობლოს—ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ურყევი ბურჯის ძლიერებას.

მგზნებარე სალამი მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციის დელეგატებს!

„პრავდის" 27/XI მოწინავე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 45.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა 24 ნოემბრისათვის 103 პროცენტით შეასრულეს შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. იმნაძე და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კულუხოვი იტყობინებიან, რომ ოლქის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 45.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დათესონ 500 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 ნოემბრისათვის შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. რთველიაშვილი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. წიკლაური იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დათესონ 500 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

წლიური გეგმის შესრულება

გორი. (საკ. კორ.). გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი მშვიდობის ვახტზე დგას და წარმატებით ანაღდებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ქარხანამ (დირექტორი ამხ. პ. საყვარელიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. სურამელაშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შ. აბესაძე) წლიური საწარმოო გეგმა 22 ნოემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია 3 მილიონი ქილით მეტი კონსერვი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის. ათი თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გადიდდა 17,5 პროცენტით, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 5 პროცენტით, თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 1.200 ათასი მანეთის ეკონომია. ზეგეგმითი დაგროვება 800 ათას მანეთს უდრის.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის დამლევამდე გამოუშვას 1,5 მილიონი ქილა კონსერვი.

წლიური გეგმები მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს სამურაბე და სხვა საამქროებმა. მარო ყანჩაველის ბრიგადამ ორი თვით ადრე გაანაღდა წლიური დავალება.

კრედიტები საკოლმეურნეო ფერმების მშენებლობისათვის

ადიგენი. (საკ. კორ.). წელს მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მშენებლობისათვის და ჯიშიანი პირუტყვის შესაძენად სახელმწიფო ბანკის ადიგენის რაიონულმა განყოფილებამ კოლმეურნეობებს მისცა გრძელვადიანი კრედიტი 560.000 მანეთის რაოდენობით.

გრძელვადიანი სესხი მიიღეს ადიგენის ლენინის, სმადის ვიშინსკის და ლელოვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ჩაის ფაბრიკა სოფელ ჯვარში

წალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის შორეული სოფლების მეჩაიე კოლმეურნეობათა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სოფელ ჯვარში შეუდგნენ ჩაის ფაბრიკის მშენებლობას. ფაბრიკასთან უკვე დამთავრებულია მუშამოსამსახურეთა საცხოვრებელი ორი სახლის, საავტომობილო გარაჟის, საწყობისა და სხვა დამხმარე შენობების აგება.

ფაბრიკა მომსახურებას გაუწევს ჯვარის, ლიისა და რაიონული ცენტრიდან დაშორებული სხვა სოფლების კოლმეურნეობებს.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს სტახანოველი მღარავი ლევან გოქაძე მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას და ყოველდღიურ ნორმებს 250-450 პროცენტით ასრულებს. მიმდინარე წლის 9 თვეში ამხ. გოქაძემ ორი წლის გეგმა შეასრულა და ახლა 1953 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): დისპეტჩერი თამარ გაბიჩვაძე, ცვლის ინჟინერი თ. კალანდაძე და მღარავი ლ. გოქაძე არჩევენ დეტალის ნახაზს. ფოტო რ. აკოფოვისა

მეტი ქვანახშირი სამშობლოს

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის შახტის კოშკურაზე განუწყვეტლივ ანათებს ალისფერი ვარსკვლავი. ეს ნიშნავს, რომ შახტი გეგმის გადამეტებით იძლევა ქვანახშირს.

როცა მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დავდექით, გადავწყვიტეთ სექტემბრის დამლევისათვის უზრუნველგვეყო წლიური გეგმის შესრულება. ჩვენმა კოლექტივმა ეს ვალდებულება ათი დღით ადრე გაანაღდა. 19 სექტემბრიდან დაწყებული ჩვენ, ახიბლარელები, მომავალი წლის ანგარიშში ვმუშაობთ.

როგორ მივაღწიეთ ამ წარმატებებს? ჩვენი წარმატების საფუძველია შრომის სწორი ორგანიზაცია, საშახტე მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენება და ქვანახშირის ოსტატთა რიგების განუწყვეტელი ზრდა.

რამდენიმე თვის წინათ იმ უბანში, სადაც ქვანახშირის ზედაპირული ამოღება მიმდინარეობს, ქვანახშირის ფენაზე გადახსნილ იქნა სახურავი მიწა 5 ათასი კუბმეტრის რაოდენობით. ამით დასამუშავებლად მომზადდა რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ფართობი ქვანახშირის ფენა. ასევე წინასწარ მომზადდა სამუშაოები სანგრევებშიც. ამან ხელი შეუწყო ქვანახშირის მოპოვების გადიდებას.

შახტის ზედაპირული და მიწისქვეშა სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია, სანგრევები უზრუნველყოფილია უახლესი საჭრელი და დამყრელი მანქანებით, მომხვეტი კონვეიერებით, ხოლო საკარიერო სამუშაოები—ექსკავატორებითა და ბულდოზერებით. ამასთან საკმაო რაოდენობით გვყავს კვალიფიციური მეშახტეები, რომლებიც სრული სიმძლავრით ამუშავებენ მექანიზმებს. მათ შორის აღსანიშნავი არიან მეშახტეები რ. ნემსაძე, რ. კორძაია, შ. ამბროლაძე, ი. კოშკური, ს. სუხომლინოვი, თ. ბატურა და სხვები.

მოძმე დონბასელ მეშახტეთა მაგალითის მიხედვით შახტის კოლექტივმა შეძლო გადასულიყო შრომის გაუმჯობესებულ მეთოდზე. აგვისტოდან შახტის ყველა ლავა სადღეღამისო ციკლური გრაფიკით მუშაობს. ამან უფრო გაზარდა ქვანახშირის ამოღება. მეორე კვარტალთან შედარებით მესამე კვარტალში ჩვენთან ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 6,3 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 20,2 პროცენტით.

ახიბლარის შახტის კოლექტივი კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას. უფრო მტკიცედ დავნერგავთ ციკლური გრაფიკით მუშაობას, სრული დატვირთვით გამოვიყენებთ სამთო მექანიზმებს, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას და შევამცირებთ ქვანახშირის ნაცრიანობას. კიდევ უფრო მეტ ქვანახშირს მივცემთ დედა-სამშობლოს!

ახიბლარის შახტის უფროსი ა. ჭირაქაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ო. ჭოლარია, მთავარი ინჟინერი ა. წამალაშვილი, მოწინავე უბნის უფროსები რ. როსნაძე, ვ. ნუცუბიძე, სტახანოველი მეშახტეები: რ. ნემსაძე, შ. ამბროლაძე, რ. კორძაია.

გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენცია

27 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მე-3 საკავშირო კონფერენცია. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ სსრ კავშირის ხალხთა წარმოგზავნილნი. კონფერენციის დელეგატთა შორის არიან — მეცნიერები, რომლებმაც სამშობლო ასახელეს თვალსაჩინო აღმოჩენებით, მუშები, რომლებიც უდიდეს მატერიალურ ფასეულობებს ქმნიან, უხვი მოსავლის ოსტატები, მწერლები, მხატვრები, მასწავლებლები, ექიმები, მოსწავლე ახალგაზრდობა. დარბაზში არიან უცხოელი სტუმრები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა—აკადემიკოსმა ბ. დ. გრეკოვმა.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადისა და მეგობრის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

„ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე სსრ კავშირში ხელმოწერის შეგროვების შედეგებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის მორიგი ამოცანების შესახებ" კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა ნ. ს. ტიხონოვმა.

კონფერენციის მუშაობის პირველი დღის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში. (საკდესი).

ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლობაზე

ნოვო-სოლენოვსკი (როსტოვის ოლქი). ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლები სტალინური კონსტიტუციის დღეს შრომითი წარმატებებით ხვდებიან. დღითიდღე ჩქარდება ბეტონის, მიწისა და სამონტაჟო სამუშაოთა ტემპი.

უზარმაზარ ქვაბულში ესტაკადით განუწყვეტლივ მიაქვთ ბეტონი. ვიბროსორთუმებით მას აწვდიან ბლოკებში. ახლა რკინაბეტონის კაშხალი უკვე ავიდა ესტაკადამდე. დაბეტონების ახალი ფრონტის შესაქმნელად საჭიროა ესტაკადის გადატანა 20 მეტრზე და მისი დადგმა კაშხალის ბურჯებზე. მემონტაჟეებმა უკვე დაამთავრეს ამ გადატანის მთელი მოსამზადებელი სამუშაოები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვის თავმჯდომარეობით 23 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა. განხილულ იქნა კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან ხელოვნური ჰავის სადგურის მოწყობის პრობლემები.

ეს სამეცნიერო სადგური, რომელიც იქმნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ახალი ტიპის ფიზიოლოგიური ლაბორატორია იქნება, რომელსაც თავისი მასშტაბით მსოფლიო პრაქტიკაში ბადალი არ მოეპოვება. ლაბორატორიაში მოეწყობა ჰაერის ავტომატური გათბობა, გაციება, დატენიანება და გაშრობა. ეწყობა სპეციალური კამერები, სადაც შეიძლება გამოსცადონ ქარის, წვიმისა და სხვა მკვეთრი მეტეოროლოგიური პირობების ზეგავლენა მცენარის განვითარებაზე. ჰავის ყველა ზოლი — უწყლო უდაბნოდან და ტენიანი სუბტროპიკებიდან შორეულ ჩრდილოეთ რაიონებამდე — წარმოსახული იქნება ხელოვნური ჰავის სადგურში.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ხელოვნური ჰავის სადგურის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ხანაში, როცა ხორციელდება ბუნების გარდაქმნის გენიალური სტალინური გეგმა.

მიღებულია ზომები ხელოვნური ჰავის სადგურის მშენებლობის დასაჩქარებლად. (საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

ჩინეთის მშრომელთა საწარმოო წარმატება

პეკინი, 27 ნოემბერი. (საკდესი). მაო ძე-დუნის მოწოდების პასუხად ჩინეთის მუშები და მოსამსახურეები იბრძვიან საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობისათვის. ცნობები მშრომელთა წარმატებების შესახებ ჩინეთის ყველა კუთხიდან მოდის.

ქალაქ ლიულიხეს ცემენტის ქარხნის მუშამოსამსახურეთა კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური დავალება და ახლა 1952 წლის ანგარიშში მუშაობს. ტანშანის ელექტროსადგურის კოლექტივმა ქვანახშირის მინიმალური ხარჯვის სრულიად ჩინეთის ახალი რეკორდი დაამყარა—დახარჯა 0,559 კილოგრამი ერთ კილოვატზე, რაც 0,012 კილოგრამით ნაკლებია ოქტომბერში დახარჯულზე.

ტიანძინის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა მუშებმა პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას მიაღწიეს. მარტო 22 საწარმომ მიმდინარე წლის აგვისტოსათვის მიიღო 414 მილიარდი იუანი ზეგეგმითი დაგროვება. მესამე კვარტალში ტიანძინის ფოლადსადნობმა ქარხანამ გამოუშვა 200 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე მთელი გასული წლის მანძილზე. პროდუქციის თვითღირებულება მიმდინარე წლის პირველ კვარტალთან შედარებით 12 პროცენტით შემცირდა.

—o—

საბჭოთა სტახანოველების მაგალითისამებრ

სოფია, 27 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა სტახანოველების მაგალითისამებრ ბულგარეთის საწარმოებში ჩაღდება მოძრაობა ტექნიკის დაუფლებისა და მანქანებისა და მოწყობილობის სოციალისტური, მოვლა-პატრონობისათვის.

მოძრაობის ინიციატორია დიმიტროვგრადელი მუშების კოლექტივი. ახალგაზრდა მუშებმა — სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატის დამკვრელებმა გადაწყვიტეს ზედმიწევნით შეისწავლონ დაზგები და მანქანები და მოაწყეს სპეციალური ტექნიკური კურსები. დაეუფლნენ რა ახალ მოწყობილობას, მათ იკისრეს სოციალისტურად მოუარონ მას და ბულგარეთის ყველა მუშას მოუწოდეს მიბაძონ მათს მაგალითს.

პატრიოტულ თაოსნობას გამოეხმაურნენ ბულგარეთის ბევრი ფაბრიკა-ქარხნის კოლექტივები.

მაგალითად, ვასილ კოლაროვის სახელობის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი მოძრაობაში ჩაება და გულდასმით ადევნებს თვალყურს დაზგების რემონტის გრაფიკის დროზე შესრულებას. ქარხანაში შემცირდა მანქანების მოცდენა, ერთიორად გაიზარდა მანქანების მორგვი მოქმედების კოეფიციენტი, გადიდდა შრომის ნაყოფიერება. გიორგი დიმიტროვის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონთა ქარხანაში მკვეთრად შემცირდა თვითღირებულება, ხოლო მოწყობილობის რემონტზე მომჭირნეობამ მრავალ ათეულ მილიონ ლევს მიაღწია.

—o—

მომჭირნეობისათვის მოძრაობა უნგრეთის საწარმოებში

ბუდაპეშტი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ფართოვდება უნგრეთის ქარხნებსა და ფაბრიკებში დაწყებული მოძრაობა ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ბუდაპეშტის წმინდა მატყლის ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა შეიტანეს 33 წინადადება ნარჩენთა გამოყენების შესახებ. მათგან 10 ახლა ინერგება წარმოებაში, რის მეოხებით წელიწადში შეიძლება დაზოგილ იქნას 100 ათასზე მეტი ფორინტი. სამთო მანქანების ქარხნის „ბამერტის" კოლექტივმა უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში დაზოგა 288 ათასი ფორინტი. 700 ათასი ფორინტი დაუზოგეს სახელმწიფოს კებანის მედიკამენტების ქარხნის მშრომელებმა.

მატიას რაკოშის სახელობის კომბინატში, სადაც წარმოიშვა ეს შესანიშნავი მოძრაობა, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინადადებების რეალიზაცია საშუალებას იძლევა ყოველწლიურად დაზოგილ იქნას 50 მილიონზე მეტი ფორინტი.

—o—

რუსული ენის შესწავლა რუმინეთში

ბუქარესტი, 26 ნოემბერი. (საკდესი). არლიუსის (სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების რუმინეთის საზოგადოება) გენერალურ საბჭოში რუმინეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გაიმართა სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი რუსული ენის სახალხო კურსების მუშაობის შესახებ.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რუმინეთის მშრომელები ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ რუსული ენის შესწავლისადმი. ამჟამად რუმინეთის ქალაქებსა და სოფლებში მუშაობს 6.600-ზე მეტი სახალხო კურსები, რომლებსაც ესწრება დაახლოებით 138 ათასი მუშა, გლეხი და ინტელიგენციის წარმომადგენელი.

რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად გამომცემლობა „კარტეა რუსამ" მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ბუქარესტის გორკის სახელობის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ შედგენილი რუსული ენის ორტომიანი სახელმძღვანელო და თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოები.

რუსული ენის შესწავლა რუმინეთში საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა. უდიდესი ინტერესით სწავლობს რუსულ ენას სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასეულ ათასობით მოსწავლე, პარტიული და პროფკავშირული აქტივი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აპარატის მუშაობაზე

ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა საფუძვლად უდევს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მთელ საქმიანობას. ამ აპარატის განმტკიცებისა და სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი მ. ჭელიძე), რომელიც თავის რიგებში 152 კომუნისტს აერთიანებს, განუხრელად იბრძვის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, რაზმავს მთელ კოლექტივს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად, სიგნალს იძლევა დაწესებულების მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს აპარატის კადრების აღზრდას სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, სისტემატურად სწავლობს კადრებს, მათს საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს.

სამინისტროში მაღალ დონეზე დგას პარტიული განათლებისა და ლექციური პროპაგანდის საქმე. კადრები განუწყვეტლივ სწავლობენ და სრულყოფენ თავიანთ ცოდნას. ხშირად ეწყობა კვალიფიციური ლექციები. უკანასკნელ ხანებში წაკითხულია ლექციები შემდეგ თემებზე: „სამელიორაციო საკითხები სსრ კავშირში“, „ვილიამსის მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ“, „კარტოფილის კულტურა საქართველოში“, „პარტიულობის საკითხი აგრობიოლოგიაში“ და სხვ. წელს აქ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისა და სპეციალისტების დასახმარებლად 14 ლექცია მოეწყო.

პარტიული და უპარტიო კადრები უმეტესად წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს. 202 კაცი, მათ რიცხვში 105 კომუნისტი და 24 კომკავშირელი 32 საკონსულტაციო ჯგუფშია გაერთიანებული. მათთან მომუშავე 30 კონსულტანტი უმაღლესი განათლებითაა და ბევრ მათგანს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. სასწავლო წლის დაწყებამდე პარტბიურო ხშირად აწყობდა კონსულტანტთა თათბირებს. [illegible] გეგმა. მაგალითად, კონსულტანტებმა მ. გურგენიძემ, გ. ბადრიშვილმა, ნ. რუსეიშვილმა, ქ. გაგნიძემ, რომლებიც კარგად იცნობდნენ თავიანთ საკონსულტაციო ჯგუფში გაერთიანებულ კომუნისტთა მომზადების დონესა და სურვილს, ურჩიეს ამხანაგებს რა ნაშრომები გაეთვალისწინებინათ ინდივიდუალურ სამუშაო გეგმაში. პარტბიურო სისტემატურად იწვევს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგთა თათბირს. 17 კომუნისტი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში სწავლობს. 1 ოქტომბერს დაიწყო მუშაობა პარტიის ისტორიის შემსწავლელმა წრემ, რომელშიც კომკავშირელებია გაერთიანებული.

სამინისტროს აპარატში და მოსახლეობაში 70 აგიტატორი ეწევა აგიტაციას პარტიის პოლიტიკისა და კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ, ისინი ორ აგიტკოლექტივშია გაერთიანებული. კარგად მუშაობს აგიტკოლექტივი, რომელსაც მ. წაქაძე ხელმძღვანელობს. აგიტსემინარები მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ აგიტსემინარებზე საჭიროა ხშირად ეწყობოდეს საუბრები მეთოდურ საკითხებზე, ხდებოდეს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების შესწავლა და გავრცელება.

კომუნისტების აღზრდის სერიოზული სკოლაა პარტიული კრება. კრებები აქ რეგულარულად ეწყობა. წელს 13-ჯერ არის მოწვეული პარტიული კრება. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ეწყობა ღია პარტიული კრებები. პარტბიუროს სხდომებზე და პარტიულ კრებებზე განხილულია 100-მდე სხვადასხვა ხასიათის საკითხი, მეტწილად აღგილობრივი აქტუალური საკითხები. მიღებული დადგენილებანი კონკრეტული და საქმიანია. პარტიულ ორგანიზაციას მხედველობიდან მუშაობის თითქმის არცერთი უბანი არ რჩება, ისმენს სამმართველოების მუშაობის, პარტიული განათ- [illegible]

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი

გორი. (საკ. კორ.). შედგა პარტიის გორის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიკომის ანგარიში. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ყუჯიაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. გემიაშვილმა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა რ. ბზიშვილმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ე. თომაშვილმა და თ. დათაშვილმა, გორის მტს-ის დირექტორმა გ. ნათიშვილმა, რაიონის პროკურორმა ა. მთიულიშვილმა და სხვებმა.

პლენუმმა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დასახა ღონისძიებანი.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა ამხ. ყუჯიაშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ლ. დოიჯაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ფოფხაძემ.

ლექტორთა ჯგუფის ძალებით

კასპი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით წარმატებით გაიშალა აგიტაცია სოფელ ქვემო ხანდაკში. მოეწყო კონსულტაციები აგიტატორებისათვის და კედლის გაზეთების რედაქტორებისათვის, სპეციალური აგიტსემინარი მიეძღვნა არჩევნების საკითხებს.

შინაარსიან საუბრებს აწყობენ ამომრჩევლებთან სოფელ კოდისწყაროს აგიტატორები. აგიტატორმა ნ. ღვინაძემ ყარაფილას უბანში რამდენიმე საუბარი გამართა ამომრჩევლებთან.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაიკომის ლექტორთა ჯგუფი. ჯგუფის წევრები სისტემატურად კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. რაიკომის პარტკაბინეტის გამგემ ამხ. პ. ჯავახაძემ „საქშახტმშენის“ კასპის განყოფილების ახალგაზრდა ამომრჩევ- [illegible]

ქუთაისის ახალ მშენებლობებზე

არასოდეს ისე ფართოდ არ ყოფილა გაშლილი ქუთაისში ახალი მშენებლობანი, როგორც ომისშემდგომ პერიოდში. მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ქალაქის მრეწველობას შეემატა მძლავრი გიგანტი — საავტომობილო ქარხანა, მწყობრში ჩადგნენ მანქანათმშენებელი ქარხანა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები, კვების ახალი საწარმოები.

ქალაქში ერთ-ერთი მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციაა ტრესტი „საქკვებმშენი“. იგი ამჟამად შუშის ტარის ქარხანას აშენებს. ქარხნის მშენებლები მექანიზმების ფართოდ გამოყენებით, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვითა და შრომის სტახანოვური მეთოდებით წარმატებით ასრულებენ გეგმებს, ამცირებენ მშენებლობის ღირებულებას და ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას. მაღალნაყოფიერი მუშაობით მშენებლებმა უკვე გაანაღდეს 11 თვის დავალება და საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ხარისხის მხრივ. სპეციალურმა კომისიამ საუკეთესო შეფასება მისცა შესრულებულ სამუშაოებს.

ამ დღეებში ტრესტის კოლექტივმა ახალ გამარჯვებას მიაღწია — დაამთავრა და საექსპლოატაციოდ გადასცა რამდენიმე ათეული ტონის ტევადობის მაცივარი.

ქალაქში ფართოდ არის გაშლილი კომუნალური, კულტურული და საბ- [illegible]

[illegible] დ. ბაზაძე, ვ. მიზანდარი, შ. კურჩიევი, ვ. ფარულავა, ა. ქობულაძე, ი. ხაჯაპურიძე, ე. კობახიძე გ. აფრიდონიძე, კ. მერკვილაძე, ს. და ა. ბერეკაშვილები, ე. ბექუაშვილი და სხვები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო უბანი (უფროსი ა. თავდგირიძე) დიდ მუშაობას ეწევა ქალაქში ახალი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად. ახლადგაყვანილ თბილისის ქუჩაზე, აბრეშუმკომბინატის მუშა-მოსამსახურეთათვის უბანი აშენებს ოთხსართულიან სახლს, რომელშიც 27 ბინა იქნება. მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი გრიგოლ ბაბუხადია. ამჟამად მიმდინარეობს სახლის მესამე სართულის კედლების ამოყვანა. სწრაფად შენდება აგრეთვე სამსართულიანი სახლი სტალინის ქუჩაზე. იგი განკუთვნილია მაუდის ფაბრიკის მუშებისათვის და დამთავრდება მომავალი წლის პირველ კვარტალში.

ბინათმშენებლები ყველა ობიექტზე გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. განვლილი 3 კვარტალის გეგმა 106,6 პროცენტით არის შესრულებული, 5,8 პროცენტით შემცირდა მშენებლობის ღირებულება. მშენებლობის წარმატებას ხელს უწყობს სამშენებლო მექანიზმების ურიანი გამოყენება და დამხმარე საწარმოების გამართული მუშაობა. უბნის აგურის ქარხანა წლიწადში 1 მილიონამდე [illegible]

[illegible] ზიაზმით მუშაობენ ადგილობრივი სპეციალისტები — ინჟინრები დ. ცანავა, ი. ქავთარაძე, გ. ქველაძე; ხელოსნები [illegible] გამშვენიერებისა და აყვავებისათვის.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტი

დროშა და პრემია კავშირგაბმულობის მუშაკებს

ხაშური. (საკ. კორ.). სსრ კავშირის კავშირგაბმულობის ხაშურის სახაზო ტექნიკური კვანძის კოლექტივმა 1 ივნისისათვის შეასრულა ხაზების შეკეთების წლიური გეგმა. შესრულებულ სამუშაოთა 62 პროცენტი შეფასებულია ფრიადზე, ხოლო 38 პროცენტი კარგზე. კვანძის კოლექტივი კვლავ წარმატებით მუშაობს. მას არ ჰქონია წუნისა და ავარიის არც ერთი შემთხვევა, კავშირგაბმულობის ხაზი შენახულია სანიმუშოდ.

მოპოვებული წარმატებებისათვის ხაშურის სახაზო ტექნიკური კვანძის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო შეჯიბრებაში და მიეკუთვნა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობა, მთელი საბჭოთა ხალხი ახალი სასახელო მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა რეჟიმი, მშრომელ გლეხობას გაუხსნა თავისუფალი, შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო გზა. ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით [illegible]

[illegible] რულდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდის დავალება, რაც ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობამ 1950 წელს ომამდელს გადააჭარბა 37 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობამ—97 პროცენტით, ღორის სულა- [illegible]

[illegible] მიცემით, საჭირო მოწყობილობათა და მასალის გამოყოფით.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურა. 1950 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტრაქტორებით კოლმეურნეობებში მოიხნა მთელი ანეულისა და მზრალის 75 პროცენტი. წინასახნისა- [illegible]

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა რეგისტრაცია

სტალინის რაიონი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კრებებმა.

რეგისტრირებული არიან:

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 1 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ნონა ივლიანეს ასული ლასხიშვილი;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: ინჟინერი ე. სალუქვაძე, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სტახანოველი ქ. კოხრეიძე, თბილმაცივრის ნაყინის საამქროს ოსტატის თანაშემწე მ. გიგაშვილი და სხვები, სულ 75 კაცი;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 2 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ტოსია მიხეილის ასული ჯაფარიძე;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის ზეინკლები ო. ალილოვი, ვ. კვინიკაძე, მეცნიერი მუშაკი ო. კვიცარიძე და სხვ.;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 3 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ავთანდილ დომენტის-ძე სულავა;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: ექიმი-სტომატოლოგი ფ. ფარცვანია, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მოწინავე ადამიანები: ს. მეგენეიშვილი, ს. ბარნაბიშვილი, პ. დანილენკო და სხვ.;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 4 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ალექსანდრე მელქოს-ძე ჭარბაძე;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: თანერის ქარხნის ცვლის ინჟინერი ა. ქორქია, თამბაქოს მე-2 ფაბრიკის მუშა ქ. ბაკურაძე, ლიმონათის ქარხნის ჩამომსხმელი საამქროს ცვლის უფროსი ე. ლალანიძე და სხვ.;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 5 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ლუბა დიანოზის ასული არზიანი;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. კიკაჩეიშვილი, კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი ბ. მუჯირი, ასისტენტი ვ. უთმელიძე და სხვ.;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 6 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ივანე შიოს-ძე რეხვიაშვილი;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. იმერლიშვილი, ექიმი მ. სულიკაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ბრეგაძე, პურის № 1 ქარხნის ბრიგადირი კ. გაგოშიძე და სხვ.;

ორჯონიკიძის რაიონი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა რეგისტრაციაში გაატარა ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კრებებმა.

რეგისტრირებული არიან:

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 1 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ს. მ. გაბილაია;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი ვ. მუშკუდიანი, ექიმები ა. ღვამიჩავა, რ. ლაბაძე, სტახანოველები ვ. ქოჩორაძე, ქ. ჯანელიძე, ინჟინრები ს. ჰეიშვილი, ნ. თევზაძე და სხვ;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 2 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად — ვ. რ. კარესელიძე;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: დოცენტები ნ. ჩხენკელი, გ. პაპიტაშვილი, გ. ქეშელაშვილი, ექიმი გ. ჰოხონელიძე, მასწავლებელი ლ. გუდავაძე-ჩიჩუა, ინჟინრები კ. კონჯარია, მ. ჯანაშია და სხვ.;

სახალხო სასამართლოების არჩევნების № 3 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად—ს. ი. ნატროშვილი;

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად: სტახანოველები გ. მურალაშვილი, ს. ტატუნაშვილი, ე. კაიშაური, სტახანოველი დურგალი ი. ურთმელიძე, ჟურნალისტი ს. ელიაძე, ინჟინერი მ. ვაშაკიძე და სხვ.

ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი მაღალმთიან სოფლებში

ჯავა. (საქ. კორ.). აქ, მაღალმთიანი რაიონის სოფლებში წინათ არც ერთი სამედიცინო დაწესებულება არ იყო, მედიცინის არც ერთი მუშაკი არ მუშაობდა, ახლა კი რაიონის სამეურნეო და კულტურული აღმავლობის პარალელურად წლითიწლობით უმჯობესდება მთიელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე, ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. საავადმყოფოები გაიხსნა შორეულ სოფლებში კოხაში, როკაში, კიროვში. 35-საწოლიანი საავადმყოფოსათვის ახალი შენობა აგეს დაბა ქვაისაში. ამიერიდან ქვაისელებს მოემსახურება 12 ექიმი და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე 20 მუშაკი. უახლოეს ხანებში გაიხსნება რაიონში რიცხვით მე-8 საფერშლო პუნქტი.

დროშა და პრემია ელექტროენერგიის ეკონომიისათვის

შეჯამებულია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიეკუთვნა თბილისის წისქვილკომბინატს.

მეორე პრემია მიეკუთვნა ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამსახურს, ხოლო მესამე პრემია—თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანას.

სავაჭრო ქსელის გაფართოება

წყალტუბო. (ჩვენი კორ.). შენდება და უახლოეს ხანში გაიხსნება სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული ცენტრალური მაღაზია. ფართო ასორტიმენტის საქონელი უკვე გამზადებულია მაღაზიაში გამოსატანად.

აბაშა. (ჩვენი კორ.). ცენტრალურ ქუჩაზე ამას წინათ რკინიგზის სამტრედიის უბნის მომარაგების განყოფილებამ გახსნა უნივერსალური მაღაზია, სადაც იყიდება ფართო ასორტიმენტის სამრეწველო, საგალანტერიო და სასურსათო საქონელი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ჯავაში ცუდად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 19 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყვნენ რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ზამთრისათვის არადამაკმაყოფილებელი მზადების გამო.

საქართველოს კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ვალიევი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. წერილი განხილა რაიონული კომიტეტის ბიურომ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორის სიგნალი დადასტურდა

ტყიბულის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა: სოფელ გურნის საავადმყოფოს გამგე ექიმი მ. კუპრაშვილი ბოროტად იყენებს თანამდებობას, ითვისებს ავადმყოფებისათვის განკუთვნილ პროდუქტებს.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომს. როგორც რაიკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მ. კუპრაშვილი განთავისუფლებულია საავადმყოფოს გამგის თანამდებობიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

პარიზი, 26 ნოემბერი. (ტასი). დღეს სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საბერძნეთის საკითხის, სახელდობრ იმ ბერძენ ბავშვთა რეპატრიაციის საკითხის განხილვა, რომელთაც ერთ დროს თავშესაფარი მისცეს მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე.

პერუს, ფილიპინებისა და შვეციის დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი. მათ მოითხოვეს გადაიდოს ამ საკითხის განხილვა სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში და ამასობაში მოეწყოს კონსულტაცია ბერძენ ბავშვთა რეპატრიაციის მუდმივ კომიტეტსა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენელთა შორის.

კომიტეტმა მიიღო ეს რეზოლუცია. ხუთმა დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაციამ, კენჭისყრაში თავი შეიკავა.

დღის სხდომაზე კომიტეტი შეუდგა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ იმ ცილისწამების განხილვას, თითქოს ამ ქვეყნების მხრივ იუგოსლავიას საფრთხე მოელოდეს.

როგორც ცნობილია, იუგოსლავიის მმართველთა ცილისწამება გენერალურ ასამბლეას თავს მოახვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესიულმა ბირთვმა, მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა დელეგაციების წინააღმდეგობისა, რომლებმაც ამხილეს ასამბლეის განსახილველად ამ ცილისწამების დაყენების პროვოკაციული ხასიათი. სსრ კავშირის დელეგაცია ჯერ კიდევ გენერალურ კომიტეტში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტიტოელთა ცილისწამება მორიგი პროვოკაციაა იუგოსლავიის მმართველებისა, რომლებმაც თავიანთი ქვეყანა ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიად გადააქციეს, და გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ამ ცილისწამების შეტანა მხოლოდ ზიანს მიაყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მორალურ ავტორიტეტს.

დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა ტიტოელთა ხროვის წარმომადგენელი. იგი სამ საათს კითხულობდა ბინძურ ცილისწამებას, რაც შედგებოდა ჭორებისა და სიყალბისაგან, რომლებითაც იუგოსლავიის მთავრობა ცდილობს შენიღბოს ამერიკის დიქტატისადმი თავისი მონური დამორჩილების პოლიტიკა. უკანასკნელი საათის განმავლობაში ტიტოს წარმომადგენელი ნახევრად დაცარიელებულ სასხდომო დარბაზში ლაპარაკობდა.

პარიზი, 26 ნოემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა საერთო დისკუსია სამი სახელმწიფოს წინადადებათა გამო, რომლებსაც მათმა ავტორებმა უწოდეს „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირება, შეზღუდვა და დაბალანსებული შემცირება".

როგორც ცნობილია, კომიტეტის 24 ნოემბრის სხდომაზე გამოსვლაში ამ წინადადებების გამო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ლეგენდა, თითქოს ეს წინადადებანი შედგენილი იყოს შეიარაღების შემცირების საკითხში სსრ კავშირის პოზიციის გათვალისწინებით და თითქოს ისინი შეიძლება შესაფერისი საფუძველი გახდნენ ამ დარგში შეთანხმებისათვის. ვიშინსკიმ გულმოდგინედ გაუკეთა ანალიზი სამი სახელმწიფოს წინადადებებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის დელეგატების არგუმენტაციას, რაც მათ თავიანთი ერთობლივი პროექტის დასაცავად წარმოადგინეს, და ცხადყო, რომ ეს პროექტი თავისი ახლანდელი სახით ვერ ემსახურება იმ მიზანს, რომელსაც აცხადებს, რადგან იგი არ ითვალისწინებს არც ატომური იარაღის აკრძალვას, არც ამ აკრძალვის განხორციელებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. სსრ კავშირის დელეგაციამ, რომელიც ისწრაფვის ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას ამ ამოცანების განხორციელება, მოითხოვა, რომ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტში შეტანილ იქნას მთელი რიგი არსებითი შესწორებანი.

სსრ კავშირის დელეგაციამ უწინარეს ყოვლისა მოითხოვა, რომ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის პრეამბულაში, სადაც ჩამოყალიბებულია ძირითადი მიზნები, ნათლად, მკაფიოდ და გარკვეულად ჩაიწეროს, რომ პირველი რიგისა და უმნიშვნელოვანეს ამოცანად აღიარებულია „ატომური იარაღის წარმოების უთუო აკრძალვა და ამ აკრძალვის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესება, აგრეთვე ხუთი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის სხვა სახეობის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების 1/3-ით შემცირება ერთი წლის განმავლობაში გენერალური ასამბლეის მიერ შესაბამისი დადგენილების მიღების დღიდან და აღნიშნული დადგენილების მიღების მომენტში არსებულ დონესთან შედარებით".

ამ მიზნების მიხედვით სსრ კავშირის დელეგაციამ მოითხოვა, რომ პროექტის სარეზოლუციო ნაწილში ამ ნაწილის პირველ პუნქტად შეტანილ იქნას შემდეგი წინადადება:

„გენერალური ასამბლეა, აღიარებს რა, რომ ატომური იარაღის, როგორც აგრესიისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის, გამოყენება ეწინააღმდეგება ხალხთა სინდისსა და პატიოსნებას და შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან, აცხადებს ატომური იარაღის უთუო აკრძალვას და ამ აკრძალვის განხორციელებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

გენერალური ასამბლეა ატომის ენერგიის და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების კომისიას ავალებს მოამზადოს და 1952 წლის 1 თებერვლისათვის უშიშროების საბჭოს განსახილველად წარუდგინოს პროექტი კონვენციისა, სადაც გათვალისწინებული იქნება ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ შესრულდეს გენერალური ასამბლეის დადგენილებანი ატომური იარაღის აკრძალვის, მისი წარმოების შეწყვეტის, უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენებისა და აღნიშნული კონვენციის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ".

საბჭოთა დელეგაცია თავის შესწორებებში მოითხოვს, რომ უშიშროების საბჭოს ფარგლებში დაარსდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომლის ამოცანა იქნება ყველა სახეობის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისადმი კონტროლი, აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვის განხორციელებისადმი კონტროლი.

ცდილობს რა ქმედითი და ეფექტიანი გახადოს საერთაშორისო კონტროლი, სსრ კავშირის დელეგაცია თავის შესწორებებში წინადადებას იძლევა, რომ ხსენებულ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს დაეკისროს გამოავლინოს მონაცემები მთელი შეიარაღებული ძალების, მათ შორის ნახევრადსამხედრო ძალების, უშიშროების ძალებისა და პოლიციის ძალების, აგრეთვე მთელი შეიარაღების შესახებ, მათ შორის ატომური იარაღის შესახებ, აგრეთვე მხედველობაში იქონიოს ეფექტიანი საერთაშორისო ინსპექტირება, რაც უნდა განხორციელდეს იმ საკონტროლო ორგანოს გადაწყვეტილებათა მიხედვით.

საბჭოთა შესწორებანი ითვალისწინებს, რომ ამ ორგანოს დაევალოს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის დადებისთანავე განახორციელოს ატომური იარაღის მწარმოებელი და შემნახველი ყველა საწარმოს ინსპექცია ხსენებული კონვენციის შესრულების შემოწმების მიზნით. საბჭოთა დელეგაცია აგრეთვე წინადადებას იძლევა, რომ გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდოს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალ ყველა სახელმწიფოს, ისე ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ შედიან, შეიკრიბონ უახლოეს ხანში და ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1952 წლის 1 ივნისისა, მსოფლიო კონფერენციაზე და იქ განიხილონ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირების, აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვის და ამ აკრძალვის შესრულებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების პრაქტიკული ღონისძიებათა საკითხი.

ასეთია შინაარსი სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტისადმი საბჭოთა დელეგაციის იმ შესწორებებისა, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებამ ნამდვილად უზრუნველყოს შეიარაღების შემცირება და ომის მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვა.

საბჭოთა დელეგაციის ზუსტმა და ნათელმა წინადადებებმა ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენლები იძულებული გახადა გარკვევით და არაორაზროვნად გამოემჟღავნებინათ თავიანთი ნამდვილი განზრახვა და მიეკიბმოკიბავად ეთქვათ საზოგადოებრივი აზრისათვის, თუ რის მომხრენი არიან ისინი ნამდვილად: თუ მათ სურთ აღმოფხვრას არსებული საერთაშორისო დაძაბულობა, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, შემცირდეს შეიარაღება და თავიდან აცილებულ იქნას ატომური ომი—მაშინ მათ საფუძველი არ მოეპოვებათ უარყონ საბჭოთა შესწორებანი; ანდა თუ ისინი ნამდვილად ისახავენ სხვა მიზნებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანებს,—მაშინ ისინი ეცდებიან თავიანთი რეზოლუციის პროექტი თავს მოახვიონ ასამბლეას.

სავსებით გასაგებია ინტერესი, რომლითაც მოელოდნენ კომიტეტის დღევანდელ სხდომას, რომელზეც სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის ავტორებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ამ პროექტის საბჭოთა შესწორებებისადმი.

მაგრამ საფრანგეთის დელეგატმა ჟიულ მოკმა, რომელიც პირველი გამოვიდა და ილაპარაკა არა მარტო საფრანგეთის, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სახელით, განაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს განზრახული აქვს კეთილგონივრად დასაჯეროს მხოლოდ მოკლე წინასწარი შენიშვნებს ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის გამო. ორატორმა განაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს დელეგაციები არ ეთანხმებიან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის იმ კრიტიკას, რომელსაც შეიცავდა საბჭოთა დელეგატის გამოსვლა. ჟიულ მოკმა ვერ მოიყვანა ვერც ერთი საბუთი, რომელიც გააბათილებდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკის დახასიათებას, როგორც აგრესიული პოლიტიკისას, რომელიც იწვევს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას. ასეთი არგუმენტების უქონლობის გამო მოკმა გაიმეორა ამერიკის პროპაგანდის ის ჩვეულებრივი ცილისმწამებლური განცხადებანი სსრ კავშირის მხრივ ვითომდა საფრთხის შესახებ, რომლებითაც ამერიკის შეერთებული შტატები და მთელი იმპერიალისტური ბანაკი ცდილობენ გაამართლონ გამალებული შეიარაღების თავიანთი პოლიტიკა და ახალი ომის მზადება.

შეეხო რა სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის შესწორებებს, რომლებიც 24 ნოემბერს წარადგინა სსრ კავშირის დელეგაციამ, ჟიულ მოკმა განაცხადა, რომ ეს შესწორებანი მოითხოვენ „სრულ, ობიექტურ და დეტალურ შესწავლას" და რომ სამი სახელმწიფოს დელეგაციები გააკეთებენ ამას და დისკუსიის დამთავრებამდე პასუხს გასცემენ როგორც ამ შესწორებებზე, ისე აგრეთვე ყოველ საკითხზე, რომელიც თავის გამოსვლაში დააყენა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ.

ამასთან ერთად ჟიულ მოკმა გააკეთა რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ეჭვს არ ტოვებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებს განზრახული აქვთ სცადონ თავს მოახვიონ პოლიტიკურ კომიტეტს თავიანთი წინადადებანი, რომლებსაც მშვიდობისადმი ნამდვილ მისწრაფებასთან და შეიარაღების შემცირებასა და ატომური ბომბის აკრძალვასთან საერთო არა აქვთ რა.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ოსტატები, მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის მებრძოლები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ შესანიშნავ ნოვატორებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სტახანოველებს უხვი მოსავალი მოჰყავთ ნათესთა დიდ ფართობებზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის ნოვატორთა შორის სამმა ორგზის სოციალისტური შრომის გმირობის მაღალი წოდება დაიმსახურა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში ახლა ჰყავს 1.128 სოციალისტური შრომის გმირი, ათასობით ორდენოსანი და მედალოსანი.

ომისშემდგომ წლებში დიდი მუშაობაა გაწეული კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების განუხრელად განხორციელებას. მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, კოლმეურნეთა შრომის სწორად ანაზღაურებისათვის, მუდმივი საწარმოო ბრიგადის, როგორც საარტელო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, განსამტკიცებლად. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წვრილ კოლმეურნეობათა გაერთიანებამ. გამოცდილებამ ცხადყო, რომ გამსხვილებული კოლმეურნეობანი წარმატებით ავითარებენ საზოგადოებრივ მეურნეობას, უკეთ იყენებენ მექანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებს და დიდი ძალა შესწევთ მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის.

კოლმეურნეობათა ეკონომიური ზრდის მაჩვენებელია განუყოფელი ფონდების განუხრელი ზრდა. საქართველოს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1950 წლისათვის 3,6-ჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამ მზრუნველობის გამოხატულებაა საბჭოთა კავშირში ომისშემდგომ წლებში მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ოთხგზისი შემცირება. გაიზარდა გლეხთა შემოსავალი საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობიდან და საკარმიდამო და პირადი მეურნეობიდან, ხოლო ფასების დაკლების შედეგად შემცირდა მათი ხარჯები.

შესანიშნავი წარმატებანია მოპოვებული მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. პურის დამზადების წლიური გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად) ვადამდე — 22 აგვისტოსათვის შესრულდა 101 პროცენტით. ამ თარიღისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 1 მილიონ 883 ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს. დიდი გამარჯვებაა მოპოვებული ჩაის მეურნეობის დარგში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე — 10 სექტემბერს 100,7 პროცენტით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფისა და ჩაბარების წლიური გეგმა და ვალდებულება იკისრეს დამატებით მოკრიფონ და ჩააბარონ ჩაის ფოთოლი. 20 ოქტომბრისათვის მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 9.623 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1950 წლის ამავე თარიღისათვის.

ეს სერიოზული გამარჯვებანი სოფლის მეურნეობის ფრონტზე მოპოვებულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების, სახელმწიფოს უდიდესი დახმარების, ახალი საკოლმეურნეო კადრების მომზადების, ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის დაუღალავი, პატრიოტული შრომის მეოხებით.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში თვალსაჩინო წარმატებებს უმადლიან ბოლშევიკურ პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საკოლმეურნეო ცხოვრების შემოქმედს დიდ სტალინს.

* * *

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ახალი დიდი ამოცანებია დასახული. შარშან ამხანაგ სტალინის ინიციატივით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სამი უმნიშვნელოვანესი დადგენილება საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ეს დადგენილებანი ითვალისწინებენ უახლოეს წლებში საქართველოს უზრუნველყოფას საკუთარი წარმოების პურით, მევენახეობა-მეღვინეობისა და მეცხოველეობის ახალ აღმავლობას.

ამას გარდა, საქართველომ უახლოეს წლებში უნდა დააკმაყოფილოს ჩაით მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება, მიაღწიოს ტექნიკური კულტურების შემდგომ განვითარებას.

ამოცანა ის არის, რომ არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, არამედ დაუღალავად ვეძებოთ ახალი რეზერვები მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის. მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებით შექმნილია ყველა პირობა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1951 წლის 14 თებერვალს თქვა: „რა დიდი მიღწევებიც უნდა გვქონდეს მთლიანად რესპუბლიკაში, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ამა თუ იმ დარგში, უფლება არა გვაქვს თუნდაც ერთი წუთით მივეცეთ თვითკმაყოფილების განწყობილებას. ყოველი მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, საბჭოთა თუ პარტიული ორგანოს მუშაკი უნდა ცდილობდეს გააკეთოს დღეს მეტი, ვიდრე გუშინ გააკეთა".

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების გადაწყვეტა უმთავრესად დამოკიდებულია კოლმეურნეობათა მუშაობაზე. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მტს-ებში ახალი ტექნიკის მთლიანად გამოყენებას, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითეული ტრაქტორი სრული დატვირთვით მუშაობდეს.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის მებრძოლთა გამოცდილების საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში დანერგვას. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, დარაზმონ სოფლის მშრომელთა მთელი ძალები საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის სტალინური პროგრამის განსახორციელებლად.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. თვითეული კოლმეურნე დაუღალავად უნდა ზრუნავდეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის. საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის საფუძველია. საჭიროა განუხრელად დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება—საკოლმეურნეო ცხოვრების ეს უმაღლესი კანონი. პარტია, ამხანაგი სტალინი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ მტკიცედ იდგნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესების დაცვის საგუშაგოზე და ძირშივე აღკვეთონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ყოველგვარი ცდა.

სამწუხაროდ, ზოგან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წაყრუების და დაუდევრობის შედეგად ვხვდებით საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვის, ფულადი სახსრების მითვისებისა და უკანონოდ ხარჯვის შემთხვევებს. ამას წინათ ზუგდიდის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამოვლინებულ იქნა დიდი საკოლმეურნეო თანხების მითვისების, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცების ფაქტები და სხვა სახის ბოროტმოქმედებანი. აქ მსხვილი ბოროტმოქმედებას ჩამდენთ ხშირად რაიონული ხელმძღვანელი მუშაკები მფარველობდნენ. საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლები და გამფლანგველები ღირსეულად დაისაჯნენ.

წელს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევის ფაქტები იყო აგრეთვე აბაშის, გეგეჭკორის, ახმეტის, ზნაურისა და გალის რაიონებში.

უფრო მტკიცედ უნდა დავიცვათ საკოლმეურნეო საკუთრება, არ დავინდოთ ქურდები და საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლები.

საჭიროა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ აღრიცხვა-ანგარიშგება კოლმეურნეობებში, გადაჭრით გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა საფინანსო მეურნეობისადმი, ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებაში ნათქვამია: „დაწესდეს, რომ საბჭოთა, პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საკოლმეურნეო ქონების, საზოგადოებრივი მიწის, ფულადი სახსრების დატაცებასა და უკანონოდ გამგებლობაში, მოიხსნებიან თანამდებობიდან და მიცემულ იქნებიან სამართალში, როგორც კანონის დამრღვევნი და საკოლმეურნეო წყობილების მტრები".

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განამტკიცონ და განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა, მთლიანად აღმოფხვრან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ყოველგვარი დამახინჯება. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით კოლმეურნეთა აღზრდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საქმეა.

სოფლის მშრომელთა და ყველა მუშაკის, კომუნისტებისა და კომკავშირელების მოვალეობაა წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს. ეს იმას ნიშნავს, რომ უდანაკარგოდ აიღონ შაქრის ჭარხლის მოსავალი, ორგანიზებულად გაატარონ ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი, საიკეთესოდ მოამზადონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის და ციტრუსების ყინვებისაგან დასაცავად, დაწესებულ ვადაში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ მზრალად ხვნის გეგმა.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი ინიციატივას და სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართონ მთელ ნათესზე უხვი მოსავლის მისაღებად.

საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ ყველა საშუალება, საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში მიღებული მდიდარი გამოცდილება და კვლავაც არ დავიშუროთ ჩვენი ცოდნა და ენერგია პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის მიერ საქართველოს მშრომელთა წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანების შესრულებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად დაუღალავი შრომით განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას, სამშობლოს მისცემენ მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ეს იქნება სოფლის მშრომელთა სერიოზული წვლილი მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

თ. კუნჭულია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

(დასასრული)

მთელი რიგი მცირე ქვეყნების წარმომადგენელთა შემდგომმა გამოსვლებმა ცხადყო, რომ სამთა წინადადებების ავტორთა ეს მისწრაფება სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება. მაგალითად, ეკვადორის დელეგატმა, რომელიც ჩვეულებრივ ბრმად მიჰყვება შეერთებული შტატების დელეგაციას და რომელ- [illegible]

[illegible]

თაინებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას 1952 წლის 1 მარტამდე გაუგზავნონ გენერალურ მდივანს თავისი სქემა, რომლის საფუძველზეც მოცემული ქვეყანა მზად იქნება შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები, აგრეთვე განსაზღვროს ზემოთ დასახელებულ ფონდში თავისი წვლილის ოდენობა.

შემდეგ სიტყვა აიღო ერაყის წარმომადგენელმა, რომელმაც აგრეთვე განაცხადა, რომ კომიტეტს შეუძლია განსახილველი საკითხის გადაწყვეტაში წარმატებას მიაღწიოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ოთხი დიდი სახელმწიფო შეთანხმდება ურთიერთმისაღებ საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით მან ერაყის, პაკისტა- [illegible]

[illegible] დაისმება კენჭისყრელად ერაყის, სირიისა და პაკისტანის წინადადება ქვეკომიტეტის შექმნის შესახებ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიისადმი

ბერლინი, 25 ნოემბერი. (საკდესი). ამას წინათ გაიმართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესია, რომელზეც მიღებულ იქნა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიისადმი.

მიმართვაში ნათქვამია:

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭო, რომელიც ბერლინში შეიკრიბა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყურადღებას მიაპყრობს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელთა სიღატაკეს, რასაც ამწვავებს გამალებული შეიარაღება, რომელსაც იმპერიალისტური მთავრობები ახორციელებენ. ეს მთავრობები უდიდეს თანხებს ხარჯავენ ომისათვის მოსამზადებლად, მნიშვნელოვნად ამცირებენ კულტუ- [illegible]

[illegible]

წინადადებებს უმუშევრობის ლიკვიდაციისა და სამუშაოთი სრული უზრუნველყოფის შესახებ, გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობის შესახებ და სხვ.

ახლანდელ ვითარებაში მეტად საჭიროა მიღებულ იქნას რეალური ღონისძიებანი მშრომელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭო სთხოვს გენერალურ ასამბლეას რჩევა მისცეს სოციალურ და ეკონომიურ საბჭოს — მიიღოს მხედველობაში ჩვენი ორგანიზაციის მიერ საბჭოსათვის წარდგენილი წინადადებანი. ჩვენ წინადადებით მივმართავთ გენერალურ ასამბლეას ეკონომიური და სოციალური საბჭოს ყურადღება მიაპყროს იმას, რომ საჭიროა მეტად [illegible]

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 26 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 26 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე გაფართოებულ თავდაცვით ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი [illegible]

[illegible]

დღის სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის ჩრდილოეთ ნაწილის მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების ბარბაროსულ დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

კორეაში მოლაპარაკების გამო

პეკინი, 27 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

22 ნოემბერს ამერიკის მხარის სამხედრო პოლიციელმა პანმინჯონის კონფერენციის რაიონში მოახდინა პროვოკაცია—შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენი მხარის სამხედრო პოლიციელს და რევოლვერით დაემუქრა მას. მაგრამ ჩვენი სამხედრო პოლიციელის სიდინჯისა და თავდაჭერილობის მეოხებით არავითარი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. ზემოაღნიშნული დამტკიცდა ორივე მხარის სამხედრო პოლიციის ოფიცრების ერთობლივი გამოძიების შედეგად და მეორე მხარის სამხედრო პოლიციის ოფიცერმა მწუხარება გამოთქვა ამ ინციდენტის გამო. ჩვენმა მეკავშირე ოფიცერმა წინადადებით მიმართა მეორე მხარის მეკავშირე ოფიცერს სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ ინციდენტს, რათა არ იქნას დაშვებული ასეთი ინციდენტების განმეორება.

იტალიელი ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში

დაიხურა „მშვიდობისა და განიარაღების ასამბლეა"

რომი, 26 ნოემბერი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა „მშვიდობისა და განიარაღების ასამბლეამ", რომელიც მოწვეული იყო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტის ინიციატივით.

ასამბლეის მეორე პლენარულ სხდომას, გარდა 500 დელეგატისა, რომლებიც იტალიის ყველა ოლქიდან ჩამოვიდნენ, დაესწრო რომის საზოგადოებრიობის, კულტურის მოღვაწეების, სპეციალისტების, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკურ და რელიგიურ მიმდინარეობათა მრავალი წარმომადგენელი.

მუშაობის დასასრულს ასამბლეამ მიიღო მოწოდება იტალიელი ხალხისადმი. მოწოდებაში გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ „იტალიის დედაქალაქში იმყოფებიან იტალიისათვის საფრთხის შემქმნელი უცხოელი მინისტრები და გენერლები, რომლებიც შეიარაღებისა და ომის გეგმებს იმუშავებენ", და იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ომის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნან „ფინანსური და ტექნიკური საშუალებანი, რომლებიც საჭიროა ხალხის გადაუდებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის მოსაშუშებლად".

„იტალიაში და მის საზღვრებს გარეთ,—ნათქვამია მოწოდებაში,—არ არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მშვიდობიანი საშუალებებით. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რათა ბოლო მოეღოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას და გამალებულ შეიარაღებას, რომელიც ერებს ღატაკებს და სისხლისღვრითა და ნგრევით ავსებს მომავალს უქადის. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, სოციალური მდგომარეობისა თუ იდეოლოგიური ორიენტაციისა ხმამაღლა და მტკიცედ მოითხოვონ, რომ იტალია არასოდეს აღარ იქნეს სამხედრო თათბირის ადგილი, რომ იგი გახდეს ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრის ადგილი საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის შესახებ წინადადებათა განსახილველად!"

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის თავმჯდომარისადმი

ტირანა, 26 ნოემბერი. (საკდესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მ. პრიფტიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით მტკიცე პროტესტს აცხადებს სისტემატური მტრული საქმიანობის [illegible]

[illegible]

2. ალბანელი სამხედრო დამნაშავეებისათვის თავშესაფრის მიცემით, ამ დამნაშავეთაგან შეიარაღებული ბანდების შექმნით, მათი დაფინანსებითა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოყენებით, აგრეთვე ალბანეთ-იუგოსლავიის საზღვრის ახლოს, მაგალითად, პრიშტინის, ოხრიდის, დიბარის, პოდგორიცის რაიონებში და სხვ. ჯაშუშურ-დივერსიული ცენტრების შექმნით.

3. იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების მიერ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახმელეთო, საჰაერო და წყლის საზღვრების სისტემატური დარღვევით. 1948 წლის აგვისტოდან 1951 წლის ოქტომბრამდე იუგოსლავიის შეიარაღებულმა ძალებმა 306 პროვოკაცია მოაწყეს ალბანეთის საზღვრებზე.

4. იუგოსლავიის მთავრობის მიერ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკასთან 1946 წლის ივლისში დადებული მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების თვითნებური და ცალმხრივი დენონსაციით 1949 წლის 12 ნოემბერს.

5. ალბანელი ხალხის წინააღმდეგ ჯაშუშობის, საბოტაჟისა და ტერორის აქტების მოწყობით, რაც ხორციელდება იუგოსლავიის ტირანის მისის მიერ შევრილებული აგენტების და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში შემოგზავნილი დივერსიული ჯგუფების მეშვეობით.

წერილში მოყვანილია ასეთი საქმიანობის ფაქტები, რომლებიც გამომჟღავნებულ იქნა ჯაშუშთა და დივერსანტთა სასამართლო პროცესებზე.

6. სისტემატური უარით — განხილულ იქნას ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ იუგოსლავიის მთავრობის ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობდნენ ამ ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობიდან. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ეკონომიური სიძნელეების გამოსაწვევად იუგოსლავიის მთავრობა განზრახ აყოვნებდა გერმანულ რეპარაციებს, რომლებიც განკუთვნილი იყო ალბანეთისათვის და ტრანზიტით იმყოფებოდა იუგოსლავიაში. იუგოსლავიის მთავრობა დღემდე არ იძლევა ალბანეთის გემ „ბოროვას", აგრეთვე მთელ რიგ მასალებს, რომლებიც იუგოსლავიაში იყო 1948 წლის ივლისამდე.

7. 1948 წლის ივლისისათვის იუგოსლავიაში მყოფ ალბანელ მოქალაქეთა დევნით. იუგოსლავიის მთავრობა აფერხებს მათს რეპატრიაციას.

8. იმით, რომ იუგოსლავიის მთავრობამ თვითნებურად და განზრახ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის იზოლაციის მიზნით, გაწყვიტა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთს შორის საჰაერო ხაზი. საერთაშორისო სამართლის [illegible]

[illegible]

11. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საბერძნეთისა და იტალიის მთავრობებთან და მათს აგენტურასთან ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განხორციელებაში მჭიდრო თანამშრომლობით. იუგოსლავიის მთავრობამ იუგოსლავიის ტერიტორია გადააქცია ზემოხსენებულ მთავრობათა აგენტების ბაზად.

წერილში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ იუგოსლავიის მთავრობის პროვოკაციული და ჯაშუშური საქმიანობა შეთანხმებულია სხვა იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობებთან. ეს ფაქტები გამომჟღავნდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ჯაშუშთა და დივერსანტთა სასამართლო პროცესებზე.

12. იმით, რომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ, დენაციონალიზაციისა და გაჟლეტის მიზნით ხორციელდება დევნისა და ჩაგვრის პოლიტიკა 800-ათასიანი ალბანელი უმცირესობის მიმართ, რომელიც ცხოვრობს კოსოვოსა და მეტოხიის რაიონებში.

იუგოსლავიის მთავრობამ, ნათქვამია დასასრულ წერილში, მიუხედავად ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის არაერთგზისი პროტესტისა, არათუ არ შეწყვიტა თავისი მტრული საქმიანობა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის და ალბანელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, გააძლიერა ეს საქმიანობა.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და მთელი ალბანელი ხალხი უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამენ იუგოსლავიის მთავრობის ამ მტრული საქმიანობის წინააღმდეგ, მტკიცე პროტესტს აცხადებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე და მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან, როგორც უმაღლესი საერთაშორისო ორგანოსაგან, რომელსაც აკისრია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის ამოცანა, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს იუგოსლავიის მთავრობის ამ მტრულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის წინააღმდეგ.

მ. პრიფტი სესიის თავმჯდომარეს სთხოვს ამ წერილის ტექსტი აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება ბერლინის აღდგენის შესახებ

ბერლინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" იუწყება, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დიდი ბერლინის ორგანიზაციასთან ერთად გერმანიის საზოგადოებრიობის განსახილველად წარადგინა ბერლინის აღდგენისა და რეკონსტრუქციის გეგმა. ამ წინადადების თანახმად, 1952 წლის 1 იანვრიდან უნდა დაიწყოს „ბერლინის აღდგენის ეროვნული პროგრამის" შესრულება.

„უკვე 1952 წელს, — ნათქვამია წინადადებაში, — ბერლინში შეიქმნება საცხოვრებელი და მაღალი შენობების კვარტალები, რომლებიც უჩვენებენ ადამიანებს, როგორი შესახედაობა ექნება ერთიანი დემოკრატიული გერმანიის დე- [illegible]

[illegible] რომ „ეროვნული პროგრამის" განსახორციელებლად საჭიროა საფინანსო სახსრები გეგმის გადაჭარბებით და ამიტომ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მოსახლეობას ინიციატივა გამოიჩინოს ამ მხრივ. იმისათვის, რომ შეგროვებულ იქნას საჭირო სახსრები, გამოშვებულ იქნება „აღდგენის სესხი", რომელზე ხელმოწერაც შეუძლია ყველა გერმანელ მოქალაქეს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ბერლინის მოსახლეობას მონაწილეობა მიიღოს ბერლინის დემოკრატიული სექტორის ნანგრევების ლიკვიდაციაში. ნანგრევების ლიკვიდაციით მიღებულ უნდა იქნას საჭირო საშენი მასალების ნაწილი. საშენი მასალების მეორე ნაწილი მიღებულ უნდა იქნას ბერლინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოებში შეჯიბრების ფართოდ განვითარების შედეგად ზეგეგმითი წარმოების გზით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის მოქალაქეებს — მუშებს, გლეხებს, მეცნიერებსა და მეწარმეებს შემოიტანონ წინადადებანი „ბერლინის აღდგენის ეროვნული პროგრამის" განხორციელებაში დასავლეთ გერ- [illegible] ბისათვის იქმნება „გერმანიის დედაქალაქის აღდგენის ეროვნული კომიტეტი", რომელშიც შეიძლება შევიდნენ პროგრამის მომხრე ყველა პარტიის წარმომადგენლები, აგრეთვე კერძო პირები. „ეროვნულმა კომიტეტმა" უნდა მოუწოდოს დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას და დასავლეთ ბერლინის ხელისუფალთ დასავლეთ ბერლინშიც შეუდგნენ აღდგენით მშენებლობას.

სსრ კავშირის XIX პირველობა ჭადრაკში

მერვე ტური

26 ნოემბერს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო პირველობის მერვე ტური.

ბოტვინიკ-სიმაგინის პარტიაში გათამაშებულ იქნა საბჭოთა მოჭადრაკეების მიერ დამუშავებული ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სისტემა. მე-12 სვლაზე სიმაგინმა გამოიყენა ახალი გაგრძელება. ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. შესვენების მომენტისათვის მსოფლიოს ჩემპიონს ჰქონდა ორი ზედმეტი პაიკი, მაგრამ სიმაგინის ძლიერი პოზიცია ათანაბრებდა მხარეთა შანსებს. 42-ე [illegible]

[illegible]

ტერიალური უპირატესობა მიიღო პარტიაში ტაიმანოვის წინააღმდეგ. შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ავერბახმა მოუგო ტერპუგოვს. არონინმა პარტია ბონდარევსკის წინააღმდეგ გადადო ისეთ მდგომარეობაში, სადაც მას სამი პაიკით ნაკლები ჰყავს. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე ფლორ-პეტროსიანის პარტია. (საკდესი).

სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს შექმნა

ბორჯომი. (საქ. კორ.). ბორჯომის კურორტთა სამმართველოსთან შექმნილია სამედიცინო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მედიცინის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ყიფშიძე.

სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მეცნიერი მუშაკები და კვალიფიციური ექიმები, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მკურნალობის გაუმჯობესებისა და ექიმების დახელოვნების საქმეში.

სომხეთის კულტურის საღამო

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად აწყობს სომხეთის კულტურის საღამოს.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. კეცხოველი. მოხსენებას საბჭოთა სომხეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის შესახებ გააკეთებს პროფესორი გ. ხაჭაპურიძე. პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი გამოვა მოხსენებით—ხალხთა მეგობრობის იდეა ქართულ და სომხურ მხატვრულ ლიტერატურაში.

საღამოს დასასრულს გაიმართება კონცერტი. დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — „პრავდის" 27-XI მოწინავე — საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენცია.

საერთო სათაურით „მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის" წერილები: აგიტპრივადები მუშაობენ სოფლად. კოლმეურნეთა სიტყვა.

უახლოეს დღეებში დავამთავროთ სამემოდგომო თესვა. ციტრუსოვანთა ნაყოფის კარგი მოსავალი. სამი ქალაქის შეჯიბრება.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი ქართულ ენაზე.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — პარტიული ჯგუფი. პარტიული განათლების საკითხები. საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი.

რატომ ჩამორჩა ხეტყის დამზადება სამგორის მშენებლობის შეხვედრა მხატვრებთან.

[illegible] ნ. ქ. [illegible] ჩხაძე — მშვიდობის მძლავრი არმია. ი. ქვათარაძე — ჩვენი საკოლმეურნეო მიწა. ლ. ფეიქრიშვილი, გ. დოცენკო — ახალგაზრდა მეშა ქალების ხმა.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნაციტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

29 ნოემბერს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები დიდ სტალინზე, სამშობლოზე და მშვიდობაზე. 9.20 — რუსული ხალხური სიმღერები. 18.10—ბრამსის და გრიგის სიმღერები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის ბ. დიდებულიძის შესრულებით. 18.30 — გადაცემა: მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. 19.15 — შუბერტის უვერტიურები. 20.00 — დონიცეტის ოპერა: „დონ პასკუალე". პირველ ანტრაქტში—საუბარი: ალბანეთი სოციალიზმის გზაზე. მეორე ანტრაქტში—ნაზიმ ჰიქმეთის პოემა: „ზოია". 24.00 — კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„ტრავიატა" (მე-11 აბ.); რუსთაველის სახელობის—„ნ. ბარათაშვილი"; მარჯანიშვილის სახელობის — „რომეო და ჯულიეტა"; გრიბოედოვის სახელობის — „დირექტორია" (56-ე და 57-ე აბ.); სომხური დრამის — „პატიოსნებისათვის"; მუსიკალური კომედიის — „არსენა ოძელაშვილი" (მე-7 აბ.); მოზარდ მაყურებელთა რუსული—„ვერაგობა და სიყვარული" (5 ს.); ხანკულტურის—„კარგი ამხანაგი"; სახელმწიფო ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „თბილისი", „ამირანი", „ოქტომბერი"—„ვეფხვი აკბარი"; „კომკავშირელი"—„მექსიკელი ქალიშვილი"; 26 კომისრის სახელობის, „კოლხიდა" — „დიდი კონცერტი"; „იხანი", „დიდუბე" — „სიცილიის ქვეშ".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 25 დეკემბერს, დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 10) **ვარდვან აკოფის-ძე აგბალიანი** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Динамика психической заболеваемости в Армянской ССР и организация нервно-психиатрической помощи"**.

ოფიციალური ოპონენტები: საკავშირო სამედიცინო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი **ა. დ. ზურაბაშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. ა. ფოფხაძე**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მოქალაქე **ზურაბ ხარიტონის-ძე კომახიძემ**, მცხოვრებმა ზასულიჩის ქ. № 30, აღძრა საქმე სოფელ ახალსოფელში (ჩოხატაურის რაიონი) მცხოვრებ მოქალაქე **დარეჯან მელქისის ასულ მამალაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ოლღა ედუარდის ასულმა ძნელაშვილმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ჩუღურეთის ქ. № 33, აღძრა საქმე ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ ისაკის-ძე ძნელაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფო იუწყება **მარინე ალექსანდრეს ასულ ენდელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI მაიაკოვსკში.

თბილისის გარეუბნის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **მართა კაპარავას** გარდაცვალებას.

მეუღლე მინა, შვილები თინა, ანგელინა, ლუბა, მარგალიტა, პასიკო, გელა, სიძეები ვ. გურგენიძე, ქ. თვალჭრელიძე შვილებით იუწყებიან **ვალენტი ილიას ძის თედორაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI, 5 ს. ქუთაისში, წერეთლის, 80.

მეუღლე ვანო, შვილები თენგიზ, სიმონ, ვალიკო, დარეჯან, მული მარო, მაზლი მიხეილ ოქრომჭედლიშვილები ოჯახებით იუწყებიან **მარო ვასილის ასულ ოქრომჭედლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI, 5 ს. კაკაბეთში (კაჭრეთის რ.).

ვასო, სიმონ, ვახტანგ და პეტრე ხმალაძეები ოჯახებით იუწყებიან ძმის **ნიკოლოზ ლაზარეს-ძე ხმალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-XI, 7 ს. გამოსვენება 29-XI, 4½ ს. ბარნოვის, 12.

მაზლიშვილები თამარ, გრიშა, ტუშა, ვახტანგ, შოთა, რძლები მაღლენა, თამარ ლეჟავა-ნიძეები, მული აკვირინე მეუღლით ელდამირით, შვილებით შალვათი და ამპერკით, რძლები ცაცა, რიმა ბახტაძეები იუწყებიან ქნეინა [illegible] გარდაცვალებას.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **გურამ ბიჭიას-ძე ხაჟვარელიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible] მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უოფა- [illegible] -სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

[illegible] ლენინის ქ. № 14.